

ბრიტანულ-ქართული აკადემია


სასკოლო ფორმები

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში სავალდებულოა სასკოლო ფორმის ტარება. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე სკოლაში გამოცხადდება ფორმის გარეშე, მას მოუწევს სახლში დაბრუნება. გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სასკოლო ფორმა.

გოგონები

- ცისფერი პოლო მაისური აკადემიის ლოგოთი - მოკლე მკლავით
- ცისფერი პოლო მაისური აკადემიის ლოგოთი - გრძელი მკლავით
- ლურჯი ქვედაბოლო (მუხლამდე სიგრძის)
- ლურჯი კლასიკური სტილის / სასკოლო შარვალი
- ლურჯი ჟაკეტი, სვიტერი ან ჟილეტი აკადემიის ლოგოთი
- ლურჯი ან ლურჯი კუბოკრული ქსოვილის სასკოლო კაბა აკადემიის ლოგოთი
- მუქი ფერის კლასიკური სტილის ფეხსაცმელი

გთხოვთ იხილოთ სურათები დამატებითი ინფორმაციისთვის



ბიჭები

- ცისფერი პოლო მაისური აკადემიის ლოგოთი - მოკლე მკლავით
- ცისფერი პოლო მაისური აკადემიის ლოგოთი- გრძელი მკლავით
- ლურჯი კლასიკური სტილის / სასკოლო შარვალი ან შორტი
- ლურჯი ჟაკეტი, სვიტერი ან ჟილეტი აკადემიის ლოგოთი
- მუქი ფერის კლასიკური სტილის ფეხსაცმელი

გთხოვთ იხილოთ სურათები დამატებითი ინფორმაციისთვის



აკადემიის ლოგო

ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგოს ტარება სავალდებულოა მაისურზე, ჟაკეტზე, სვიტერზე, ჟილეტსა და კაბაზე. აკადემიის ლოგოს შექმნა შესაძლებელი იქნება სკოლაში 2014 წლის 18 აგვისტოდან.

მოქარგული ლოგოს ტანსაცმელზე გადატანის ინსტრუქცია

თქვენ დაგჭირდებათ:

- უთო
 - მყარი გლუვი ზედაპირი - უმჯობესია ჩვეულებრივი მაგიდა, ვიდრე საუთავებელი მაგიდა
 - ნამიანი ღრუბელი
 - პატარა თხელი ნაჭერი
 - ფორმა (მაისური, ჟაკეტი, სვიტერი, ჟილეტი ან კაბა)
 - ლოგო
1. ჩართეთ უთო მაქსიმალურ ტემპერატურაზე და დაელოდეთ, რომ კარგად გაცხელდეს.
 2. ნამიანი ღრუბლის გამოყენებით ოდნავ დანამეთ ის ადგილი, სადაც გსურთ ლოგოს გადატანა.
 3. ამავე ადგილას დადეთ ლოგო, ფერადი მხარით (ნახატით) თქვენკენ.
 4. ლოგოზე ზემოდან დააფინეთ ნაჭერი. შემდეგ ცხელი უთო დაადეთ და კარგად დააჭირეთ დაახლოებით 60 წამის განმავლობაში ტანსაცმლის ორივე მხრიდან. არ გამოიყენოთ უთოს დანამვის ფუნქცია.
 5. ამოატრიალეთ ტანსაცმელი გარედან შიგნით და იგივე პროცესი გაიმეორეთ.
 6. დარწმუნდით, რომ ლოგოს კიდეები კარგად /მყარად არის დამაგრებული ტანსაცმელზე. დადეთ ტანსაცმელი გასაგრილებლად.

ლოგოს დაახლოებით 24 საათი სჭირდება იმისათვის, რომ მყარად დამაგრდეს ტანსაცმელზე. შესაბამისად, ამ პერიოდის განმავლობაში თავი შეიკავეთ მოცემული ტანსაცმლის ჩაცმისგან.

ტანსაცმლის გარეცხვა და დაუთოება შეგიძლიათ მასზე მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

მაღაზიები, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ სასკოლო ფორმა

ფორმის შექმნა შეგიძლიათ ნებისმიერ მაღაზიაში, მათ შორის:

Mothercare: რუსთაველის გამზირი, #28.

Marks and Spencer: თბილისი მოლი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-16 კმ.

Gap: თბილისი მოლი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-16 კმ.

ქვემოთ მოცემულია **ინტერნეტ მაღაზიები**, რომლებიც იღებენ ქართულ პლასტიკურ ბარათებს (Visa, American Express)

Marks and Spencer: www.marksandspencer.com

Old Navy: www.oldnavy.com

Gap: www.gap.com

Children's Place: <http://www.childrensplace.com>

JCpenny: www.jcpenny.com

Carters Oshkosh Bogosh: <http://www.carters.com/oshkosh>

ფორმები: <http://www.carters.com/oshkoshbogosh/uniforms/oshkosh-uniforms,default,sc.html>

Marks and Spencer გთავაზობთ ტრანსპორტირებას პირდაპირ საქართველოში. ტრანსპორტირების ფასია 15 გირვანქა სტერლინგი.

დანარჩენი მაღაზიები ახდენენ ტრანსპორტირებას მხოლოდ ამერიკის ტერიტორიაზე. თუ თქვენ გსურთ მოცემულ მაღაზიებში ფორმის შექმნა, თქვენ თავდაპირველად უნდა დარეგისტრირდეთ იმ კომპანიის ვებგვერდზე, რომელიც გთავაზობთ ტრანსპორტირებას ამერიკიდან საქართველოში. ასეთი კომპანიებია: www.usa2georgia.com და www.camex.ge

რეგისტრაციის შემდეგ, თქვენ გექნებათ საფოსტო მისამართი ამერიკაში. როდესაც შეიძენთ რაიმეს ონლაინ მაღაზიებში, მიუთითებთ სწორედ ამ მისამართს. მაგალითად:

სახელი, გვარი

8 McCullough dr, Suite U****(თქვენი ინდივიდუალური ოთახის ნომრით, მაგ: U121212)
New Castle, DE 19720, USA

ამანათის მიღება - როდესაც ამანათი შემოვა თქვენს მისამართზე ამერიკაში, მიიღებთ შეტყობინებას ელ-ფოსტის სახით, ასევე ამანათის თრექინგ კოდი აისახება კომპანიის ვებ-გვერდზე, ამანათების მართვის პანელში.

ამანათის გადმოგზავნა საქართველოში - ამერიკიდან საქართველოში ამანათის ტრანსპორტირების ვადა 7-10 დღე.

www.usa2georgia.com – 1 კილოგრამის ტრანსპორტირების ფასია \$8

www.camex.ge - 1 კილოგრამის ტრანსპორტირების ფასია \$6.95

ტანსაცმლის ტრანსპორტირება ყოველთვის ითვლება რეალური (და არა მოცულობითი) წონით.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: 2 251 253; 2 294 295;